ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 94

ქ. ბათუმი

„ 11 “ „ ივლისი “ 2025 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე / ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის **მ.შ. - რამაზ მამულაძე**

სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები: ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსის **მ.შ. - გურამ კონცელიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე / ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - **კახა დიასამიძე**

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ნინო კერვალიშვილი**

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის **2025 წლის 29 მაისის № ბ 14. 14251493** ბრძანების შესაბამისად, არსებულ 1 ვაკანტურ თანამდებობაზე **შიდა** კონკურსის **მეორე და მესამე ეტაპის** (**11.07.2025**) - **ზეპირი დავალება / გასაუბრება** შედეგების ცნობად მიღება და დამტკიცება.

2. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით **გამარჯვებულის** გამოვლენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიმდინარე წლის **11 ივლისს** ჩატარებული, კონკურსის **მეორე და მესამე** ეტაპის - **ზეპირი დავალება/გასაუბრების** შედეგების შესახებ, რის საფუძველზეც დგინდება, რომ 1 ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსზე გამოცხადდა მონაწილე 1 კანდიდატი (**განაცხადი**).

კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული და დამტკიცდეს **2025 წლის 29 მაისის № ბ 14. 14251493** ბრძანებით გათვალისწინებული **ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის** ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული **შიდა** კონკურსის **მეორე და მესამე ეტაპის** - ზეპირი დავალება/გასაუბრება **შედეგები,** თანახმად დანართისა.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) გამარჯვებულ კანდიდატს, რომელმაც **წარმატებულად გადალახა შიდა** კონკურსის **მეორე და მესამე ეტაპი** (ზეპირი დავალება/გასაუბრება) და კონკურსის საბოლოო შედეგებით **გამოვლინდა გამარჯვებულად,** შედეგები ეცნობოს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, წინამდებარე ოქმის ოფიციალურად ძალაში შესვლისა და გამოქვეყნების შემდგომ.

ბ) საჯაროობისა და ინფორმირების მიზნით კომისიის გადაწყვეტილება - კომისიის სხდომის ოქმი და ოქმის დანართი განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე **www.batumi.ge**

3. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები და შედეგები შეიძლება **გასაჩივრდეს სასამართლოში** დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

---------- რამაზ მამულაძე

---------- გურამ კონცელიძე

---------- კახა დიასამიძე

---------- ნინო კერვალიშვილი